

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ინფრასტრუქტურის, ეკონომიკური და ქონების მართვის
კომისიის სხდომის

ოქმი N7

ქ. აბაშა, 2019 წლის 31 მაისი

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ინფრასტრუქტურის, ეკონომიკური და ქონების მართვის
კომისიის სხდომის

ოქმი N7

ქ. აბაშა, 2019 წლის 31 მაისი

სხდომის ადგილი: აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობა (ქ.

აბაშა, უ. კაჭარავას #1).

სხდომას თავმჯდომარეობდა: აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის, ეკონომიკური და ქონების მართვის კომისიის თავმჯდომარე გია კუცია.

სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის წევრები: ელვარდი ნოდია, ზაზა გაბელაია ,ლეონტი ნადარეიშვილი და შოთა ჭანტურაია.

სხდომას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ბენია პიტავა , დავით კაჭარავა და ზურაბ შუბლაძე.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის, ეკონომიკური და ქონების მართვის კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი და დააყენა კენჭისყრაზე.

დღის წესრიგი :

1. „აბაშის მუნიციპალიტეტში საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების, საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ“.

მომხს: გ. კუცია

კომისიამ კენჭი უყარა დღის წესრიგს (მომხრე-5, წინააღმდეგი-0) და განაგრძო მუშაობა წარმოდგენილი დღის წესრიგის შესაბამისად .

მოისმინეს:

„აბაშის მუნიციპალიტეტში საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების, საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ“.

მომხსენებელმა გ.კუციამ კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „აბაშის მუნიციპალიტეტში საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების, საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ“.

აზრი გამოთქვებს : ლ.ნადარეიშვილმა და ე. ნოდიაშვილმა.

კომისიამ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს (მომხრე-5, წინააღმდეგი-0) აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის , ეკონომიკური და ქონების მართვის კომისიამ

დაადგინა:

განკარგულების პროექტი „აბაშის მუნიციპალიტეტში საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების, საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ“ წარედგინოს აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს საკრებულოს უახლოესი სხდომის დღის წესრიგში გათვალისწინების მიზნით.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულ იქნა და კომისიის სხდომა დახურულად გამოცხადდა.

ინფრასტრუქტურის, ეკონომიკური და ქონების მართვის

კომისიის თავმჯდომარე :

გ.კუცია